

## დომენების მართვის პოლიტიკა

სტუ-ს დომენების და ქვედომენების მართვა ხდება სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის მიერ შექმნილი დომენების მართვის პოლიტიკის თანახმად, რომელსაც უზრუნველყოფს დომენების მართვის ჯგუფი.

სტუ-ს დომენების მართვა გულისხმობს, სტუ-ს არსებული დომენების მონიტორინგს, მისი ჩანაწერების განახლებას, ვადის გასვლის შემთხვევაში სტუ-ს ადმინისტრაციის დროულ ინფორმირებას და ხელშეკრულების წარმოებას დომენის პროვაიდერსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის. ასევე სტუ-ს დომენების მართვის ფუნქციაში შედის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის ახალი დომენის რეგისტრაცია და შესაბამისი ns ჩანაწერების უზრუნველყოფა.

სტუ-ს ქვედომენის რეგისტრაციისას, აუცილებლად უნდა იქნას განხილული მოცემული წესები:

1. სტუ-ს ძირითად დომენად განსაზღვრულია: [gtu.ge](http://gtu.ge); [gtu.edu.ge](http://gtu.edu.ge)
2. სტუ-ს ქვედომენის მინიჭება ხდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულისათვის.
3. სტუ-ს ქვედომენის დასახელება სასურველია შედგებოდეს ქვედომენის მომთხოვნი ორგანიზაციის დასახელების აბრევიატურისგან ან ორგანიზაციის დასახელებისგან (თუ მისი სახელი არ აღემატება 10 სიმბოლოს) ან მისი სფეროს/საქმიანობის ლოგიკური სახელისგან.
4. სტუ-ს ქვედომენი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 2 სიმბოლოსგან
5. სტუ-ს ქვედომენის გაცემა ხდება მხოლოდ მისი განხილვის შემდეგ.
6. სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრს უფლება აქვს არ მიანიჭოს სტუ-ს ქვედომენი ორგანიზაციას, თუ: ორგანიზაციის შერჩეული ჰოსტინგი არ არის სტაბილური და უსაფრთხო, ორგანიზაციის ვებ-გვერდი უარყოფითად მოქმედებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელზე და რეპუტაციაზე, ორგანიზაციის ვებ-გვერდს აქვს ტექნიკური პრობლემები და არსებობს საიტის „გატეხვის“ ლოგიკური რისკი.
7. სტუ-ს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციას, მხოლოდ სტუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შეუძლია უარი თქვას სტუ-ს ქვედომენზე და მიიღოს სასურველი დომენური სახელი სხვა პროვაიდერისგან.
8. სტუ-ს ქვედომენის გაცემა ხდება სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის ვებ-გვერდზე, ქვედომენის მოთხოვნის ფორმის საფუძველზე, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს სასურველი დომენური სახელი მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით.